№ 92 მაისი 9, შაბათი 1887 მაისი 9, შაბათი № 92



| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

გაზეთი ღირს

ცალკე ნომერი—ერთი შაური.


# ივერია

გაზეთის დასაგვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ჩიდლეველის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 12 მაისს.

ხელის-მომწერთა საყურადღებოდ:

ვისაც მხოლოდ ხუთი მანათი შემოუტანია, პირველ მაისიდამ მოესპოთ გაზეთი. ნისიად გაზეთი არავის ეგზავნება, რადგან რედაქციას ერთხელ და ერთხელვე წესად არა აქვს დადებული. წლიურნი ხელის-მომწერელნი, რომელთაც მარტო ხუთი მანათი შემოუტანიათ, თუ ინებებენ და ხუთს მანათს კიდევ შემოიტანენ, წლის დამლევამდე გაეგზავნებათ გაზეთი. რედაქცია კერძო წერილით პასუხს ვერ მისცემს გაზეთის მოსპობის შესახებ, თუ ფულის გამოუგზავნელობის გამო არის მოსპობილი გაზეთი.

ტფილისი, 8 მაისი

მთავარ-მინისტრი საფრანგეთისა გობლე ამ რამდენისამე კვირის წინად წავიდა გავრში გამოფენაზედ დასასწრებად. აქ ბ-ნს მინისტრს მოუხდა საჯაროდ ლაპარაკი და ევროპაში მიღებულ წესისამებრ უნდა შეჰხებოდა ეხლანდელ საგარეო საქმეთა მდგომარეობასაც. ამ საგანზედ ბ-ნმა გობლემ სთქვა, რომ ამ ბოლოს ხანებში საფრანგეთმა ბევრი განსაცდელი ჰნახა, მაგრამ ყოველს ამ განსაცდელს მშვიდობიანად გადარჩა მერე ისე, რომ საფრანგეთმა სრულად ხელ-უხლებლად შეირჩინა პატივი და დიდება დიდის სახელმწიფოსი და მის ღირსებას არაფერი შეჰბღალვიაო. მიაწერა რა ეს ამბავი თვით საფრანგეთის ერის პატიოსნურს თავ-მოწონებას, თავის დაჭერას, სიფრთხილეს და გონიერებას, დაუმატა ფრიად საყურადღებო სიტყვები: «დრო განსაცდელებისა საფრანგეთისათვის იქნება ჯერ სრულად არ გადასრულაო და ჩვენ მზადა ვართ ყოველს განსაცდელს პირ-და-პირ გულ-და-გულ დავუხვდეთო».

თ. ბისმარკს ძალიან ვერ ეჭაშნიკა თურმე ეს გაბედული სიტყვები თავ-მოწონებულის ერის მინისტრისა. ესეც უნდა ყოფილიყო. სამინისტრომ გობლე-ფლურანსისამ, როგორც გუშინაც მოგახსენეთ, სულ სხვა რიგად იჩინა თავი. პირველ ხანებში ამ სამინისტროსაგან არც საფრანგეთი, არც ევროპა ბევრს არას მოელოდდა: ეგონათ, რომ მარტო მორიგს საქმეებში ჩაებმის და ზლაზვნით და უფხოდ გასწევს ჩვეულებრივს უღელსა, ვიდრე სხვა რიხიანი და გაბედული სამინისტრო გამოჩნდებაო. მოულოდინი ყველას გაუმტყუნდა: ამ სამინისტრომ ყოვლად-შემძლებელს თ. ბისმარკს თვალი გაუსწორა და ისეთის უშიშარის გულით დახვდა ყოველს მის მანქანებასა, რომ ყველანი გააოცა და პატივი და თანაგრძნობა მოიპოვა. ბევრს იძახიან ეხლა თ. ბისმარკის მორჩილნი გაზეთები, რომ ბ-ნს გობლეს, თუ მართლა მშვიდობიანობა ჰსურს, არ უნდა ეთქვაო გავრს, რომ საფრანგეთისათვის განსაცდელების დრო ჯერ კიდევ არ გარდასრულაო და ყოველ შემთხვევისათვის მზადა ვართო.

რომ ბ-ნს გობლეს მართალი უთქვამს, ამას ამტკიცებს პარიჟელი კორრესპონდენტი ინგლისის გაზეთის „Times“-ისა. იგი იწერება, რომ გერმანიის მხრით კიდევ ერთი ახალი განსაცდელი მზადდებაო. ლეიპციგის უმაღლესი სამჯავრო აპირობს შეუდგეს იმ საქმის გარჩევას, რომელშიაც შნებელე ურევიაო. ბრალ-მდებელი ოქმი თურმე 500 გვერდს თაბახისას იპყრობს და მარტო მის წაკითხვას მთელი ოთხი საათი მოუნდებაო.

რაც კი ამ რამდენისამე თთვის განმავალობაში გერმანელთ ცნობანი შეუკრებიათ, სულ ამ ოქმშია თურმე მოხსენებული. ეს რომ მარტო შნებელეს თაობაზედ იყოს, კიდევ არა ეთქმის-რა საფრანგეთსა. სიტყვა ის არის, რომ გერმანელთ ამ ოქმში შეუგროვებიათ ყოველისფერი, რაც კი ასე თუ ისე გამოსადეგია მისთვის, რომ ბრალი დასდონ საფრანგეთს ვითომც ომის ატეხა უნდა და მარტო შემთხვევას ელისო. ამ ოქმშია მოხსენებული თურმე ისიც თუ—როგორ ამზადებდა საფრანგეთი ალაჩუხებს თავის სამზღვრებზედ მეომარის ჯარის თავ-შესაფარავად, როგორ იქცეოდა საფრანგეთის მოხელეობა, როცა ელზას-ლოტარენში არჩევანები იყო გერმანიის პარლამენტისათვის და აწერილია გამოჩენილის დერულედის *) მოგზაურობის ამბავი. გარდა ამისა მოგროვილია თურმე ყოველ გვარი წერილები, რომლის ძალითაც ვითომც უნდა დამტკიცდეს, რომ საფრანგეთია მიზეზი ეხლანდელის დროის შიშისა და ზარისა. თ. ბისმარკმა ძალიან კარგად იცის, რომ ამ ახლად მოხერხებულს მანქანებაზედ საფრანგეთი ხმას ამოიღებს და არ გაუჩუმდება ლეიპციგის სამსჯავროსა. აქედამ თ. ბისმარკი წყლის ამღვრევას გამოელის და მღვრივე წყალში თევზის ჭერა ხომ კარგის მებადურის საქმეა.

*) ეს დერულედი საკმაოდ გამოჩენილი პოეტია საფრანგეთისა და ამ ბოლოს დრომდე თავ-მჯდომარე იყო ეგრედ წოდებულის „საპატრიოტო ლიგისა“. შარშან ამ დერულედმა შემოიარა თითქმის მთელი ევროპა და ყველგან ჰცდილობდა საფრანგეთისათვის თანაგრძნობა მოეპოვებინა წინააღმდეგ გერმანიისა.

გუშინდელმა დეპეშამ ხომ მოგვიტანა კიდეც ამბავი, რომ გობლე იძულებულ გამხდარა სამსახურიდამ გადადგომის თხოვნა წარედგინა საფრანგეთის რესპუბლიკის პრეზიდენტისათვის. გუშინაცა ვსთქვით და ეხლაც ვიმეორებთ, რომ ეს ამბავი დიდი ამბავია. მოურეული, თავი და თავი მიზეზი ამ ამბავისა ჩვენ გუშინ, ჩვენის შეძლებისამებრ, მოვახსენეთ ჩვენს მკითხველებს. დღეს გვინდა მხოლოდ მახლობელი მიზეზი ვაცნობოთ.

ამ აპრილის უკანასკნელ რიცხვებში ხმა გავარდა, რომ გობლეს სამინისტროსა და ბუჯეტის კამისიას შორის განხეთქილება ჩამოვარდაო. ბუჯეტის კამისიას, როგორც თვითონ სახელწოდება გვაუწყებს, მინდობილი ჰქონდა მომავალისათვის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის ნუსხა სამინისტროსი გაეჩხრიკა. სამინისტრომ თავისი პროექტი წარუდგინა და ბუჯეტის კამისიამ შეჰნიშნა, რომ გასავალი დიდია და ამის შესავსებლად სამინისტროს განუზრახავს გადასახადების მომატება ზოგიერთ საგანზედ. ბუჯეტის კამისიამ მოსთხოვა სამინისტროს, შეამოკლე გასავალი, თორემ ერი გადასახადის მომატებას ვერ გაუძლებსო. სამინისტრომ შეიწყნარა ეს თხოვნა და 13,700,000 ფრანკამდე შეამოკლა გასავალი და გობლემ ესეც დასძინა ზედ, რომ თუ დრო და გარემოება ხელს შეგვიწყობს, მერეც დავაკლებთ კიდევაო. ბუჯეტის კამისიამ ეხლავ მოითხოვა დაკლება. გობლე თანახმა არ გაუხდა და საქმე პარლამენტზედ მივარდა. პარლამენტმა ხმის უმეტესობით ბუჯეტის კამისიის წინადადება მიიღო და გობლე ამის გამო მთელის თავისის სამინისტროთი იძულებულ გახდა სამსახურს დასთხოვნოდა, რადგანაც გამოაცხადა, რომ რაც დავაკელ, მასზედ ნაკლების კრედიტით მე და ჩემნი ამხანაგნი საქმეთა საჭიროებას ვეღარ გავუძღვებითო.

არ ვიცით ჯერ, რესპუბლიკის პრეზიდენტმა გრევიმ შეიწყნარა თუ არა გობლეს სამინისტროს თხოვნა სამსახურიდამ გადადგომის თაობაზედ. ხოლო ეს კი უნდა ვსთქვათ, რომ დღევანდელს დღეს ეს სამინისტრო კრიზისი საფრანგეთისათვის უდროვო დროდ არის. სწორედ ამ დღეს შეჰფეროდა, რომ საფრანგეთის საქმეთა საყვარში იმისთანა მინისტრები ჰბმოდნენ, რომელნიც არ უფრთხიან არავითარს მუქარას თ. ბისმარკისას. თუ პრეზიდენტმა გრევიმ შეიწყნარა გობლეს თხოვნა, უსათუოდ მთავარ-მინისტრობაში ჩადგება ფრეისინე, ან ფრეისინე და ფერი. ორივენი, ნამეტნავად უკანასკნელი, უფრო სასიამოვნონი იქნებიან თ. ბისმარკისათვის, ვიდრე გობლე-ფლურანსი. ფერიმ იმიტომ ვერ იდგომილა ამას წინად მთავარ-მინისტრად, რომ მეტად აშკარად შეემჩნივა თ. ბისმარკის უკან აყოლა. ფრეისინე თუმცა თ. ბისმარკს ალმაცერად უცქერის და მასთან ერთად სვლას არა ნდომულობს, მაგრამ ფრთხილი კაცია და თ. ბისმარკმა იცის, რომ მაგ მეტის-მეტის სიფრთხილით ბევრს რასმეზედ დაიყოლიებს.

ერთის სიტყვით, ეს ამბავი, ჩვენის ფიქრით, იმის ნიშანია, რომ საფრანგეთსა და გერმანიას შორის რაღაც ახალი ქსელი გაიბა და რაღაც ახალი ხიდი გაიდვა.

## ფელეტონი

### რამე-რუმე

(წვრილ-წვრილი ამბები)

აგერ რამდენი წელიწადია, რაც თავი დავანებე „რამე-რუმესა“. ამ „რამე-რუმემ“ ისეთი საქმეები დამმართა, თქვენი რისხვა არა მაქვს, ბ-ნო მკითხველო, რომ კინაღამ ჩემი ხორცი ჩემისავე კბილით არ მაგლეჯინა. რას იზამ? თუ ყველას ამ ოხერ წუთისოფელში წითელ კვერცხს უგორებ, ხომ კარგი, თუ არა და აჩაუდ და შენი საქმე! გადაეიკიდე ძმა, მეგობარი, შინაური და გარეული. ამათი საქმე ერთს ამბავს მაგონებს: ქუთაისში ერთი კაცი ხიდზე ძაღლმა დაგლიჯა; რას იზამდა, დაგლიჯა, დაგლიჯა. ჩაიტანა ძაღლზე გულში ჯავრი და აღარ იცოდა როგორ გადაეხადნა. კუკიის ხიდზე, ტფილისში, ამ ვაჟბატონს შაეხეჩა ერთი საცოდავი ძაღლი; იძრო ფიშტო და გადააგორა საბრალო პიროუტყვი.

— ნჰე, მოგხვდაო! შენც იმ ქუთათურის ძაღლის ჯიშისა ხარო!?.

ახა, ღმერთო! ახირებული ფილოსოფიაა სწორედ!!.

სწორედ ჩემის „რამე-რუმის“ გადამკიდე ასეთსავე ყოფაში ვიყავი: ქუთაისიდამ რომ დაეწერნათ რამე, მე მბრალდებოდა. რა გაეწყობოდა, ჰერში შევდე ჩემი საცოდავი კალამი. მაგრამ ჩვეულება რჯულთ უმტკიცესიაო, ანუ დაჩვეულს ნუ მოაკლებ და დაუჩვეველს ნუ დააჩვევო. ამიყოლია ისევ ბედმა, ჩამოვიღე ჩემი ჟანგიანი კალამი ჰერიდამ, ვახსენე ღმერთი და შევუდეგ ქრისტესა; მაგრამ კალამმა, იმ ჩემმა ერთგულმა კალამმა, მიღალატა, ლევენთება და უარშიობა დაიწყო და, მეტი ღონე აღარ იყო, გამოვცვალე. დროს შესაფერად ყველაფერი იცვლება; ისეთი დაუნდობელი რამ არის დრო-ჟამი, რომ კაცი ენით ვერ გამოსთქვამს; თუნდაც შეგეძლოს გამოთქმა, აქედიქიდამ რაღაც უცნაური ხმა ჩაგჩიჩინებს.

— ბიჭო, აცა-დაიცა, თავი დაანებე მაგ ბრძნულს სიტყვებსაო, თორემ?.. თორემ, მე შენ მოგახსენო, კისერის მოგრეხა ადვილი არ არის თუ!.. დალახვროს ღმერთმა ჩემი ხასიათი: რაზე დავიწყე ლაპარაკი და სად გადავტოპე. ესეც დრო-ჟამის ბრალია, ამ კბილებ ჩახავსებულის, წელში ხუთად მოღუნულის ბებრუცუნასი.

დიაღ! მე სულ სხვა რამეებზე უნდა მელაპარაკნა და დრო-ჟამის კიცხვაძაგებას შევუდექი. რა ვქნა, ვისაც რა სტკივა, იმის წყლული ის არისო..

ახლა ტფილისში რომ „ჰოი კვიცოს პოეზია“ დაიბადა და ქუჩა-ქუჩა ხოტბას გაიძახიან კვიცებისასა რაჭველი მესტვირეები, განა ჩვენში, ამ ჩვენს დალოცვილს გორში, «ქართლის მეთაურში», აღარ იკითხავთ, თუ რა პოეზია დაიბადა? ჰმ! ფას „ჰოი კვიცოს პოეზიაც“ და ათასი სხვებიცა. გორულს ლექსს „ქალ-ვაჟიანს“ ყველა პოეზია ენაცვალოს.

ის-ის იყო უნდა დამეწყო „ქალ-ვაჟიანზე“, მაგრამ ერთი ცხვირი დამცა და საკვლავიოდ გადავდე. მოგახსენებენ, ერთი ცხვირი თუ დასცა ადამიანს სადილ წინად, არ ვარგაო; სადილთ უკან-კი კაი ღვთის წყალობააო. უნდა მოგახსენოთ, რომ მე ძრიელ მწამს ცხვირის ცემინება და ამიტომ სხვაზე ვილაპარაკოთ.

* * *

იქნება არავინ იცით, რომ გორში „კრუჟოკი“ გვაქვს? თუ არ იცით, ძალიან ცუდად გინებებიათ. ვისაც უნდა გაიგოს რამე გორისა, „კრუჟოკში“ მიბძანდეს და სხვა-და-სხვა ჭორს, ახალ-ახალს ამბებს გაიგებს; მთელი ქალაქი თავის ავ-კარგიანობით „კრუჟოკშია“ აღბეჭდილი; ამაში ციმციმებს, ამაში კამკამებს, როგორც წმინდა წყალში ცა. ასეც უნდა იყოს, ამიტომ რომ გორის საზოგადოება იყრის აქ თავსა; აქ გორელი შემოდის ისევ იმავე აზრებით, მიმართულებით, ხასიათით, რაც კლუბის კედლების გარედ იყო. კლუბი კაცს ვერ გააკეთებს, ვერ გარდაჰქმნის; არ გათეთრდება ყორანი, რაც გინდა ხეხო ქვიშითაო, ხომ მოგეხსენებათ. გორელი კაციც, როგორც ყველა ქართველი, დაუდევარია, საზოგადო საქმე არ ეპიტნავება; კერძო საქმეებში ჩამრჩვალი, თავის ცხვირს იქით არას ჰხედავს; ერთმანერთს ეჩანარებიან, სძრახვენ—ჰკილვენ და ღამდება დღე, მიდის ღამე ამ ყოფით. გორელი კაცის ხასიათი კარგად შეიგნეს ზოგიერთა „კრუჟოკის“ ნაცვლებმა (старшины), ჩაიგდეს ხელში ბურთი და ხან თავს აი-

## ახალი ამბავი

*** სამშაბათს, 12 მაისს, დანიშნულია წლიური საზოგადო კრება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა. სხვათა შორის ამ კრებამ უნდა ამოირჩიოს სეკრეტარი. კანდიდატებად სამს კაცს ასახელებენ: ე. იოსელიანს, კისტენევს და არასხანიანცს.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ „წერა-კითხვის საზოგადოების" სასარგებლოდ ლოტარეია-ალეგრი გამართული იქმნება მუშტაიდში კვირას, 17 მაისს. საზოგადოებას დიდ-ძალი ნივთები შეუგროვებია ლოტარეიაში ჩასაგდებად. ბლომად დაუბარებია ნივთები აგრეთვე მოსკოვიდამა და ამ დღეებში მოსულია კიდეც ეს ნივთები.

*** აქამდე შიო-მღვიმის მონასტერი ტფილისის ფერის-ცვალების მონასტერს ეკუთვნოდა. ახლა-კი უწმინდესსა და უმართებულესს სინოდს გადაუწყვეტია, რომ შიო-მღვიმის მონასტერი ცალკე, დამოუკიდებელ მონასტრად დაწესდეს და თვალდვე განაგოს ყოველი თავისი საქმეები და მოუაროს თავის მამულებსა და ქონებასაო. ტფილისის სინოდალურს კანტორას წარუდგენია ამ მონასტრის შტატის დებულება, რომელიც სინოდს დაუმტკიცებია. მონასტერს შესწირა მისმა ყოვლად-უსამღვდელოესობამ ეპისკოპოსმა ალექსანდრემ 21,100 მან. ამ ფულის სარგებელი მოხმარდება მონასტერს. მონასტრის წინამძღვრად იქნება თვით შემწირველი ამ ფულისა ეპისკოპოსი ალექსანდრე, რომელიც უკვე იბარებს ამ ჟამად ყოველს ქონებასა და მამულებს მონასტრისას. მონასტერში იქმნება ოთხი მღვდელ-მონოზანი, ორი იეროდიაკონი, ოთხი მორჩილი. სულ წლიური ხარჯი მონასტრისა იქნება შტატით 1055 მან.

*** ჩვენ შევიტყეთ, რომ გორის მაზრის ერთს სოფელში მცხოვრებელის ოჯახში ძველის ქართულის გაზეთის ნომერი აღმოჩენილა. ეს გაზეთი დაბეჭდილია თურმე პატარა თაბახს ქაღალდზე და ზედ 1803 წ. აწერია. რამდენადაც ვიცით და გვახსოვს, ამ დროს დაბეჭდილის გაზეთის შესახებ ჩვენს მწერლობაში არაფერი ცნობა არა ყოფილა; ამიტომ საინტერესო იქმნება, რომ ეს ერთად-ერთი ნომერი მოპოვებულ იქმნას და და დაცული ისეთს ადგილას, რომ შესაძლებელი იყოს ხოლმე მისი ნახვა და გასინჯვა.

*** არა ერთხელ და ორჯელ მოუხდენია უბედურობა ცხენის-რკინის გზას. აი გუშინ-წინაც, 7 მაისს, ჩუღურეთში ერთს უბედურობას დავესწარით. გაქანებულმა ვაგონმა გაიტანა ერთი 13 წლის ყმაწვილი. ეს ყმაწვილი მტკვრიდგან მოდიოდა და ხელში დოქი ეჭირა წყლით სავსე. „კუჩერი" იყო დამნაშავე, რომელმაც თავი დაანება ცხენებს, გზის ყარაულს მისცა „ვოჟჟები" და თითონ-კი სხვაგან გაიქცა. ამ დროს ეს საწყალი ყმაწვილიც შეეჯახა ვაგონს. გამოუცდელმა გზის ყარაულმა ვერ მოახერხა ვაგონის შეყენება და ყმაწვილი ვაგონის თვლებს მოჰყვა. შემდეგ თუმცა მალე დააყენეს, მაგრამ ყმაწვილი გაჭყლეტილი და მხარ-მოგლეჯილი ლა გამოაცალეს ვაგონს ქვეშიდამ. დამნაშავე „კუჩერი" იპოვეს და წაიყვანეს პოლიციაში.

*** ვაფრთხილებთ სიღნაღელებს! ქალაქ სიღნაღსაც სწვევია ამ მოკლე ხანში ერთი საზიზღარი სენი. სარწმუნო კაცმა გარდმოგვცა, რომ აქ გამოჩენილან „ჩაგრულთ-მცველების" სახელით შემაძრწუნებელის ქცევის ადამიანნი, რომელთაც არა ერთისა და ორის გაჭირებულის ოფლით ნაშოვნი გროში ყოვლად უსამართლოდ, მოტყუებით გადუყლაპავთ. საქმე ის არის, რომ ზოგიერთი აქაური ფარისეველი მაჩანჩალა ადვოკატის სახელით მოქმედობს; გაჭირებული ხალხი მთელს მაზრაში, რასაკვირველია, ყოველთვის ბლომად მოიპოვება. ეს უკანასკნელნი, თავის საუბედუროდ, გამოსძებნიან ხოლმე ზემოხსენებულს ვაჟბატონებს და ესენიც სინიდისის მიუხედავად ერთი ათად და ოცად სტყუებენ შრომის ფასს. მაგრამ ამას ჯანი გავარდეს. ადვოკატების შეუწყნარებელი და ყოვლად საზიზღარი საქციელი იმაში მდგომარეობს, რომ ძრიელ ხშირად ესენი იღებენ ფულებს მოჩივარისაგანაც და მოპასუხესაგანაც; ამასთან პირველთაგან იმიტომ, რომ საქმეს ვიკისრებ და გიშველი რასმეო და მეორეთაგან იმიტომ, რომ არა, მოჩივარს მოტყუებით ვატარებ ჩემთან, სასამართლოში-კი საქმეს არ დავიწყობ, ან თუ დავიწყე, განგებ წავაგებო. ერთის სიტყვით, ვინც ბევრს მომცემს, იმის სასარგებლოდ ვიმოქმედებო. ამ გვარი შემთხვევები სიღნაღში თურმე იშვიათი არ არის.

*** სოხუმიდამ გვატყობინებენ: ორს მაისს, საღამოს შვიდს საათზე, იქ მისულა ზღვათა უწყების გამგებელი. იმ ღამეს გემში დაუყვია. დილის მეათე საათზე ხმელეთზე გამოსულა. აქ მის წინაშე წარმდგარან სხვა-და-სხვა დაწესებულებათა მოხელენი; შემდეგ უნახავს საბოტანიკო ბაღი, მერე წასულა დრანდის მონასტერში, იქიდამ დაბრუნების შემდეგ დაუთვალიერებია ბ-ნ ვედენსკის ბაღი და იქვე უსადილნია. საღამოს ათს საათზე ისევ გემში ჩამჯდარა და ფოთის ნავთ-სადგურის სანახავად გამგზავრებულა. ამბობენ, რომ 4 მაისს შუა-დღისას ბათუმშიაც უნდა მისულიყო და იქაურობაც უნდა დაეთვალიერებინაო.

*** სოხუმიდამვე გვწერენ: აპრილის გასულს ისეთი სიცხეები დაიჭირა აქედკენ, რომ მზეზე ტერმომეტრი 36 გრადუსს ასცდაო. აქ ასეთი სიცხეები სწორედ საკვირველი ამბავია, არა თუ ახლა, არამედ ზაფხულშიაც-კიო.

*** სამეგრელოდამ გვწერენ: სოფ. ხორგაში მოხდა ერთი ფრიად შემაძრწუნებელი ამბავი: 22 აპრილს მდინარე ხობის წყალში თავი დაირჩო ერთმა ახალგაზდა გასათხოვარმა ქალიშვილმა, ეფროსინე გურალიას ასულმა, რომელიც, დიდის მეცადინეობის შემდეგ, მონახეს და ამოიღეს წყლიდან დარჩობის მეორე დღეს. საწყალს პირი-სახე მთლად თავ-საბურავით ჰქონდა მოკრული. ეფროსინეს პატარაობაში მოუკვდა მამა და მისი დედა სხვა ქმარს გაჰყვა; თავის უმცროსის ძმით და დით იზრდებოდა თავის ბიძასა და ბიძაშვილებთან. ეფროსინეს კარგი სახელი ჰქონდა; ბოლოს, როგორც ამბობენ, რაღაც საყვედური გაუგონია. ეს საყვედური ვერ აუტანია პატიოსანსა და თავ-მოყვარე ახალგაზდა ქალს და თავის დარჩობა გადაუწყვეტია. გამოძიება სწარმოებს და ჯერ არ ვიცით, რითი გათავდება ეს საქმე.

*** სომხურ „მშაკიდამ" მოგვყავს საინტერესო ანგარიში ტფილისის სომხთა დრამატიულის კომიტეტის მოქმედებისა: მაისის 5-ს ბატონ ფითოევის თეატრის დარბაზში იყო სომხთ კომიტეტის კრება; 16 კაცი დაესწრო. თავს-მჯდომარემ ბ-ნმა თაადიანმა წაიკითხა ზამთრის სეზონის ანგარიში, რომლისაგანაც სჩანს, რომ მრთელს სეზონში 27 წარმოდგენა ყოფილა და მისი შემოსავალი 8,649 მან. 80 კ.; სხვა შემოსავალი ბალისა და ფითოევის თეატრში გამართულის წარმოდგენისაგან 1,688 მან., სულ 10,337 მან. 80 კაპ. ხარჯი ყოფილა თეატრის ქირასა და მოწყობილობაზე 4,897 მან.; არტისტებს ჯამაგირად 5,664 მ., ბენეფისიდამ არტისტებს 1,236 მან. 5 კაპ.; რუსულ გაზეთებში დაბეჭდილი განცხადება-აფიშები და სხვა ამ გვარები 785 მან. 60 კაპ.; სტამბოლიდამ არტისტების დაბარება, გზის ხარჯი და პირობების წერილები 704 მ. 64 კ.; როლების გადაწერა და სხვა წვრილმანი ხარჯი 159 მან. 80 კაპ., სულ ხარჯის ჯამი 13,447 მან. 9 კ. ამ გვარად წმინდა ზარალი არის 3,100 მან. 29 კაპ.; ეს ზარალი სამს წევრს უკისრნია და გადუხდიათ. ამისთვის კრებამ დიდი მადლობა მოახსენა ამ სამს კაცს. ამას გარეითად კომიტეტს აქვს 2,257 მან. 45 კაპ. ხელ-უხლებლად. ყველა ეს ანგარიში დამტკიცებულ იქმნა. აქედამ სჩანს, რომ თითო წარმოდგენიდამ 320 მან. შემოსულა და ხარჯი კი 500 მან. ყოფილა, ესე იგი თითქმის 200 გადასცილებია შემოსავალსა. ამის შევსებაზე მოლაპარაკება იყო და გადასწყვიტეს აბონემენტი დავაწესოთ მომავალის სეზონისათვისაო. ამ კრებაშივე გამოჩნდნენ ხელის მომწერნი, მაგრამ კრებამ გადასწყვიტა, რომ ოცის წარმოდგენის აბონემენტი დაიდვას და თუ ბილეთები გაიყიდა, ივნისში კომიტეტმა წარუდგინოს თავისი მოსაზრება მომავალ წლის მოქმედებისათვისაო. ამ გვარად სომხთ საზოგადოებაზეა დამოკიდებული საქმე, რომ თუ აბონემენტი აიღეს, თეატრის საქმეც მოეწყობა, თუ არა და აღარ იქნება სომხური თეატრი. შემადგენელნი წევრნი კომიტეტისა შეუცვლელად დარჩნენ: ისაია ფითოევი, ალექსანდრე მანთაშოვი, ფ. ფრიდონოვი, აბ. იოვანესიანი, მ. თაადიანი, ნ. მირზოევი, ს. ყორღანოვი. „მშაკი" უმატებს, რომ ამ ჟამად თეატრის მოთავეობა კარგს ხელშია, მაგრამ საზოგადოება არის მოვალე თავისის თეატრის შენახვისაო. სომხთ თეატრის ანგარიში ამ გვარად წინა გვაქვს და არ შეგვიძლიან შევადაროთ ქართულის დრამატიულის საზოგადოების ანგარიშსა. ნეტა მალე იქნება ანგარიში, ანუ რაიმე ცნობა ზემოხსენებულის მსგავსი ქართულის თეატრის შესახებ?

*** 5 მაისს, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. ალექსანდრე ივანეს-ძე ჯამბაკურიან-ორბელიანის სახლთან მიუგდიათ პატარა 8 თვის ყმაწვილი.

*** 6 მაისს, მე-7 ნაწილში, მებოჭკე მარაბდელი გლეხ-კაცი ივანე მელვინაშვილი წყალით ავსებდა ბოჭკას, გაუფრთხილებლობის გამო ჩავარდა მტკვარში და დაირჩო. გვამი ვერ იპოვნეს.

—

**შეცდომის გასწორება.** „ივერიის" ერთს ფელეტონში: „ცერემონია მეფე ერეკლეს დასაფლავებისა" შეცდომით აწერია წელიწადი ერეკლეს მეფის გარდაცვალებისა 1788, უნდა ყოფილიყო: 1798.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ქვემო-ჭალა** (გორის მაზრა). ქვემო-ჭალა მდებარეობს მდ. ლეხურას ორთავ ნაპირებზედ. ქვემო-ჭალას საზოგადოებაში გარდა თავად-აზნაურობისა 150 კომლამდე ითვლება. ამ სოფელზედ თითქმის ზედ მობმულნი არიან სოფლები საკორინთლო-ახალშენით და სამთავისი. რადგანაც ქვემო-ჭალა საკორინთლოს და სამთავისის შუა სძევს და რადგანაც ძნელი იყო მარტო ქვემო-ჭალისათვის საკუთარ სკოლის შენახვა, ამისათვის ქვემო-ჭალაში ამ ექვსის წლის წინედ დაარსდა ერთ კლასიანი სასოფლო სკოლა, რომელიც ხსენებულ სამს საზოგადოებას ეკუთვნის. ეს სკოლა დღეს იმყოფება თ. ი. ამილახვრის სახლში. წელს საერო სკოლების დირექციამ განიზრახა ქვემო-ჭალის ერთ კლასიან სკოლის ორ კლასიანად გადაკეთება. მარტის 15 ს ჩამოვიდა აქ გორის მა-

---

ტანეს, ხან ბოლოს ჩაიტანეს. იქამდის გათამამდნენ „ნაზირ-ვეზირები" ჩვენის „სალაყბოსი", რომ ხმას ვერავინა სცემდა: უბრალო სიტყვა, უბრალო საჩივარი რომელისამე წევრისა, უბრალო „პროტესტი", ნაცვლების მოქმედებისაგან გამოწვეული, ერთს ალიაქოთს მოახდენდა ხოლმე.

— როგორ თუ ვინმემ გაბედა და ჩვენ წინააღმდეგ კრინტი დასძრაო?! მამაჩემი არ წამიწყდება, ეხლავე ნაცვლობაზე უარს ვიტყვი და ჰნახავენ თავიანთს სეირსაო, გაიძახოდა ზოგი.

— ჩვენისთანა მეჭურჭლეთ-უხუცესი ინგლისის დედოფალს ვიქტორიასაც ენატრება და, შეხე, გორის საზოგადოება მწუნობს და რადა? იმადა, რომ ანგარიშის წერილები არა გაქვთ ვაჭრებისა სხვა-და-სხვა ნასყიდობაზეო? ჰმ! უმეცრებავ, უმეცრებავ!! მაშ რაღად აგვირჩიეთ მინისტრ-ხაზინადრად და ბეჭდის შემნახველად, თუ ორას-სამასის თუმნის ნდობაც არა გაქვთ ჩვენიო. ჩვენ გაჩვენებთ სეირსა, ჩვენს პორტფელს თავს კი არ დავანებებთ სხვებისავითაო, თქვენის თვალის მჩიჩქნავად უნდა ვიყვნეთ და გული გაგისიეთო.

ზოგმა კიდევ ხომ თავის ტვინი წაიღო, რომ თავს დავანებებ და თავს დავანებებ სამსახურსაო, არა ღირს თქვენთან სამსახური და ცხოვრებაო. ბეზარს მოიყვანა ხალხი და ერთმა მადლიანმა კაცმა ძლივს მოახერხა და უთხრა:

— თქვე დალოცვილებო, ინგლისში, იმისთანა საქვეყნოდ გამოჩინებული, დიდებული კაცი, გლადსტონი გადადგა მინისტრობიდამაო და თავი არავის მოუკლავს და თქვენ გადადგომაზე ბუზსაც არავინ აიფრენს, ნუ სწუხართო.

მადლობა ღმერთსა, დაეთხოვნენ ვინც დასათხოვნი იყვნენ, მაგრამ დღემდის არავითარიმე უბედურობა არ მომხდარა. კიდევ მადლობა უფალსა!!

***

რახან სიტყვამ მოიტანა და «კრუჟოკზე» ლაპარაკი ჩამოვარდა, მაშ ორიოდე ამბავს მოვიყვან „კრუჟოკის" ცხოვრებიდამ, რადგან, როგორც ზემოდაც მოგახსენეთ, ეს ცხოვრება იგივე გორელების ცხოვრებაა.

ამას წინად საზოგადო კრებაზე ლაპარაკი ჩამოვარდა: ვიქირაოთ სხვა, თუ ისევ ამ სახლებში დავრჩეთო. თუ აქ დავრჩებით, უნდა გადაკეთდესო. ყველამ, ე. ი. მომეტებულმა ნაწილმა, სავარგისოდ დაინახა ისევ თ. ივ. ერისთავის სახლში დარჩენა (აწინდელს სახლში). სხვათა შორის ბ-ნ ალიხანოვის სახლიც იყო დასახელებული საქირაველად. თუმცა აწინდელი სადგომი «კრუჟოკისა» ბევრით მეტია ა—ზე, უმჯობესიც არის, მაგრამ აქ მოინდომეს თეთრის შავად და შავის თეთრად ჩვენება. ენის ქავილი ვის რას არ ჩაადენინებს. აქ საზოგადოება ორად გაიყო.

ილაპარაკა და ილაპარაკა ერთმა, იქამდის ილაპარაკა, რომ ყველას დასთქლიმა, მაგრამ ბოლოს მაღალის ხმით დაიძახა, ეს სახლი დაინგრევაო. დათქლემილმა ხალხმა თვალები ცქვიტა, ეგონათ, რომ სახლი დაინგრაო და ჰერს მიაპყრეს თვალები. ასე რომ ვიფიქროთ, ბატონებო, სთქვა მეორე ბანაკიდამ ვიღამაც, ხომ ყველა სახლი ოდესმე დაინგრევა, ან დაანგრევენ. იტალიაში მშვენიერთა-მშვენიერი ქალაქი ნიცა ჩაინგრა და გაოხრდა, მაგრამ მაინც თავს არ ანებებენ და ჩვენ ჯერ ხომ მთლიანადა ვართ. დაინგრევა თუ არ დაინგრევა, მაინც ჩვენ აქ სიკვდილი გვირჩევნიან, სხვაგან სიცოცხლესაო.

საზოგადოებაში სიცილი ჩამოვარდა. ამ შენიშვნამ ორატორი გაატრიზავა. იარაღი დაჰყარა.

აწინდელი სადგომი „კრუჟოკისა" ნაცვლებისაგან დასახელებულს ყველა სადგომებს ამჯობინა საზოგადო კრებამ და დარჩნენ ისევ აქ იმ პირობით, რომ შეაკეთონ სახლი ისე, როგორც ითხოვს ნაცვალთა რჩევა.

***

აბა, ბატონებო, ძალ-ღონე მოიკრიბეთ, აღიჭურვენით მოთმინებითა თქვენითა. დიაღ!..

„ყური მიგდეთ, გეტყვით ამბავს
უტყუარსა და მართალსა"!..

წარმოიდგინეთ, ბატონებო, კაცი, ადამიანი, მასწავლებელი! ჰმ! წარმოიდგინეთ, რომ ეს კაცი, ადამიანი, ეშმაკი, ქაჯი რომელსამე ალაგას ასწავლის ბერძნულს, ლათინურს, გინა სპარსულს, ჩინურს, გინა ქართულსა. ჰო, დიაღ, ასწავლის. ერთიც ვნახოთ ერთს მშვენიერს დილას ამ კაცმა, ადამიანმა, ეშმაკმა, ქაჯმა მოიპრიანა და გამოაცხადა...

— რადგანაც სპარსული, ჩინური (რომელიც უნდა იყოს, სულ ერთია, მაგალითად ვამბობთ,) არ მეპრიანება, არ ვიცი კიდეც, გთხოვთ უმორჩილესად, რათა გაგვანთავისუფლოთ მეცა და ის კლასიც, სადაც ვასწავლი, ამადა-ამ საგნის სწავლებისაგან.

წარმოიდგინეთ, რომ გაანთავისუფლეს.

მაგრამ ტყუანს რა უთხრა, რომ თქვენ ვერ წარმოიდგენთ: მომიცია მთელი ტფილისის ქალაქი, თუ წარმოიდგენთ. ნწ! არა მგონია კი და!..

ს. გუმცაძე

ზრის უფროსი, შეკრიბა სამის საზოგადოების ხალხი, კომლზედ კაცი, და გამოუცხადა, რომ თქვენ ქვემო-ჭალის ერთ კლასიანი სკოლა უნდა ორ კლასიანად გადააკეთოთო. რაც შეეხება კომლეულ გარდასახადს სკოლის შესანახავად, გარდასახადი იგივე იქნებაო (კომლზედ სამი მანეთი). მაზრის უფროსის სიტყვაზე ხალხმა თანხმობა გამოაცხადა მით უმეტეს, რომ სამას თუმნამდე წინა წლებში შეტანილი ფული ხაზინაში ეგულებოდათ. მაზრის უფროსმა შეადგინა განაჩენი, მოაწერინა ხელი და გაგზავნა დასამტკიცებლად, სადაც და როგორც წესი და რიგი მოითხოვს.

რადგანაც, როგორც ზევით მოგახსენეთ, სკოლა მოთავსებულია ნაქირავებულ სახლში, ამიტომ ორ კლასიანად გადაკეთება იმავე სკოლისა ნაქირავებულ სახლში არ შეიძლებოდა და ამის გამო მაზრის უფროსი სხვა თავისუფალ ადგილების ძებნას შეუდგა. აღმოჩნდა სამი ადგილი: ერთი საეკკლესიო, მეორე თ. ი. ლუარს.-ძე ამილახვრისა და მესამე სახელმწიფო. პირველი საეკკლესიო მამული სოფლის თავშია, ვენახებში, გორის ძირას, სადაც ჭაობიანი ადგილები ბლომად ახვევია გარეშემო; აგრეთვე არავითარი გზები იმას არა აქვს გარდა ერთის პატარა მისავალ ბილიკისა; მეორე ადგილი თ. ამილახვრისა მდ. ლეხურის პირზედ მდებარეობს, მშვენიერსა და გაშლილს ადგილას; ერთის მხრით მდ. ლეხურა ჩამოუდის, მეორეს მხრით შარა გზა უდევს; წინ მშვენიერის ალუბლის, ქლიავების და კაკლის ხეებით სავსე ბაღჩაა; ამასთან ეს ადგილი სწორედ შიგ შუა სოფელშია. ოთხივ-კუთხიდგან ისე მიელენ ყმაწვილები სკოლაში ტალახის დროს, რომ ფეხი არ დაუსველდებათ, რადგანაც ხსენებულ ადგილამდე წინა და უკანა გზებს ქვიშა აყრიათ; მესამე ადგილი ძევს სოფლის განაპირებით დასავლეთ სამხრეთისაკენ, ერთს მიყარდნილ და მიუდგომელ ადგილას, რომელსაც ათასში ერთის მგზავრის მეტი არავინა ჰხედება. წვიმიან შემოდგომაზედ და გაზაფხულზედ კაცს არ გაევლება აქ, რადგანაც იმ მამულის ერთად-ერთი გზა გაუვალ ტალახით ივსება ხოლმე.

სასოფლო სკოლა არის ერთად ერთი ადგილი, სადაც გლეხის შვილებმა უნდა შეითვისონ და შეიძინონ როგორათაც სწავლა, აგრეთვე ზნეობა, სისუფთავე და მოქალაქეობა. ყოველი ეს შეიძლება შეიძინოს ყმაწვილმა მაშინ, როდესაც თვითონ სკოლა ყოველის მხრივ კარგად არის მოწყობილი, როდესაც ყველაფერი წესზე და რიგზეა დაყენებული. ამისათვის სკოლას შენობა და ადგილი ხელს უნდა უწყობდეს და აკმაყოფილებდეს ამ გვარს მოთხოვნილებას. სკოლისთვის ადგილის არჩევის დროს მხედველობაში უნდა ვიქონიოთ: 1) რომ სკოლის ადგილი შიგ შუა სოფელში იყოს; 2) არ იყოს სკოლის სიახლოვეს ჭაობები და ნოტიო ადგილები, არ იცოდეს ტალახები და არ იყოს მიყარდნილ, მიყრუებულ და ჩაყარდნილ ადგილას.

ნამდვილი სასკოლო ადგილი უნდა ეკკლესიის სიახლოვეს იყოს, რომ სოფლის მასწავლებელს ყველა კვირა უქმე დღეებში შეძლება ჰქონდეს შეგირდების მშობლები და ნათესავები ნახოს და გადასცეს თავის შენიშვნები შეგირდების სწავლა-ყოფა-ქცევის შესახებ, ამითი მასწავლებელი მოიპოვებს ხალხში სიყვარულს და აგრეთვე ღონის-ძიება ექნება გავლენა იქონიოს ხალხზე და ცოტ-ცოტად შეაგონოს სწავლა-განათლების სარგებლობა. თუ ეკკლესია სოფელზე მოშორებულია, რას იზამ, მაგრამ თვით სკოლა-კი შუა სოფელში უნდა იყოს, რომ შეგირდებს ყველა ადგილიდგან ადვილად შეეძლოთ სიარული. აგრეთვე ჰავაზედაც დიდი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული; ჰავა ჯანის სიმრთელისთვის კარგი უნდა იყოს, რომ შეგირდები და მასწავლებელი არ დასნეულდნენ. ზოგიერთს სოფლებში სკოლას აშენებენ ჩაყარდნილ და დახაშმულ ადგილას იმის სიხარბით, რომ ამ გვარი ადგილები უფრო იაფად იშოვებაო და იმას კი ივიწყებენ, რომ ყმაწვილები სნეულდებიან, მეტადრე ციებ-ცხელებას ხომ ვერ იშორებენ და უდროვოდ ესალმებიან წუთი-სოფელს. გარდა ამ პირობებისა სკოლას უნდა ჰქონდეს ერთი დღიურის ოდენა მიწა, სადაც შეიძლებოდეს პატარა ბაღჩის გაკეთება; პატარა ბაღჩაში მასწავლებელს მოწაფეების შემწეობით შეუძლიან ახეიროს სხვა-და-სხვა ხეხილები და მოიყვანოს ყოველ-გვარი ბოსტნეულობა; მეტადრე თუ მასწავლებელმა იცის მეურნეობა, აქ მასწავლებელს ღონის-ძიება მიეცემა ასწავლოს მოსწავლე ყმაწვილებს ყოველ გვარი სასარგებლო ცოდნა მეურნეობის შესახებ და აგრეთვე პატარაობიდგანვე მიაჩვიოს მუშაობასა. ამ გვარ პატარა მეურნეობას ნივთიერის სარგებლობის გარდა ბავშვებზედ ექნება აგრეთვე აღმზრდელი მნიშვნელობაც.

როგორადაც ჰავით, მდებარეობით, მოხერხებულობით, აგრეთვე მშვენიერის ბაღჩით სწორედ ზედ გამოჭრილია სასკოლოდ თ. ი. ლუარ.-ძე ამილახვრის მამული. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ თითქმის სამსავე საზოგადოებას ჰსურს ამილახვრის მამული, როგორც ყოველის ფრით მოხერხებული ადგილი სკოლისათვის. რაც შეეხება პირველ საეკკლესიო მამულსა, თითონ ხალხი უარზე დგას, იმ ადგილზედ სკოლა ააშენოს, რადგანაც მართლა რომ მიყარდნილსა და უხერხულს ალაგას არის. სხვათა შორის სამთავისის მამასახლისმა საზოგადოების პირით მოახსენა მაზრის უფროსს, რომ რაკი ფულს დავხარჯავთ, სკოლა იმისთანა ადგილას უნდა გაკეთდეს, რომ თვალ-საჩინოც იყოს და სოფლისათვის სასახელო და სასარგებლოცაო. ჩვენ ყოველთვის ვიცლით სკოლაში ჩვენის შვილების სანახავად და აბა მიყრუებულს ადგილას, ან სოფლის განაპირებით ტალახებში და თოვლებში სად ვიაროთო. ჩვენი ორ კლასიანი სკოლა უნდა იყოს სამაგალითო შენობა სოფელში და აბა იმ მიყრუებულსა, მიყარდნილს და ჭაობიანს ადგილას ჩვენ რა ხელს მოგვცემსო. მაინც-და-მაინც თუ ან საეკკლესიო, ან სახელმწიფო ალაგებში სკოლა აშენდა, ჩვენ ერთს ყმაწვილსაც არ მივაბარებთო. თუ თვით გლეხი ამ აზრისა არის ამ მამულებზედ, უეჭველია, ის ადგილები არ ევარგება. თითქმის ესვე ითქმის სახელმწიფო ადგილზედაც. თუმცა იქ ჭაობები ბლომად არ არის, მაგრამ სოფელზედ ერთობ მოშორებული და ჩაყარდნილი ადგილია. იქიდგან ყმაწვილი სკოლის ეზოს მეტს ვერას დაინახავს. მხედველობაში ისიც უნდა ვიქონიოთ, რომ სკოლას და სწავლა-განათლებას ეტანებიან უფრო ზევითა უბნების ყმაწვილები და თვით ხალხიც; იმ უბნებიდგან-კი, სადაც სახელმწიფო ადგილი ძევს, მხოლოდ ერთი შეგირდი დაიარება.

ერთის სიტყვით, არც საეკკლესიო და არც სახელმწიფო ადგილი სკოლისათვის არ ვარგა. მაზრის უფროსსაც ძლიერ მოეწონა თ. ამილახვრის მამული. ამ ორიოდე დღეებში მოველით საერო სკოლების დირექტორს, რომელიც, უეჭველია, გამოიკვლევს ყოველ წვრილმანებს და იმედი გვაქვს, ამოირჩევს სკოლისათვის თ. ი. ლუარ.-ძე ამილახვრის მამულს, როგორც ყოველის მხრით მოხერხებულს ადგილსა სკოლისათვის.

გულ-შემატკივარი

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გერმანიის გაზეთებმა თამამად და პირ-და-პირ დაიწყეს ლაპარაკი. მაგალითად, გერმანული გაზეთი „Kreuzer Zeitung“-ი ასეთის მუქარით იწყებს ლაპარაკსა.

13 ივლისს 1870 წლისასა, როდესაც ნაპოლეონ მესამის წარმომადგენელმა ხმა აიმაღლა ხელმწიფე ვილჰელმის წინაშე და თავ-გასულად ლაპარაკი დაიწყო, ამ 13 ივლისს, ვამბობთ, ის მოჰყვა, რომ შვიდის კვირის შემდეგ სედანთან მოემწყვდა ნაპოლეონი თავის ჯარებით და შვიდის თვის უკან პარიჟიც ჩვიღეთ; ამ წლის მაისის ერთს დღესაც, როდესაც საფრანგეთის ჯარები გერმანიის დასავლეთ სამხღვრისკენ გამოილაშქრებენ და რუსეთი აღმოსავლეთისკენ მოადგება გერმანიასა, — ამ მაისის დღეს ის მოჰყვება, რომ ნოემბერში ან დეკემბერში საფრანგეთს სედანზე უარესი დღე დაადგება და რუსეთს სევასტოპოლზე.

გაზეთი დარწმუნებულია, რომ საფრანგეთისა და რუსეთის წინააღმდეგ გერმანიის გარდა იქნებიან: ავსტრია, ინგლისი, იტალია და, უსათუოდ, ბალკანის ნახევარ-კუნძულის ყველა სახელმწიფოებიცაო.

ძალიან გამბედაობა უნდა, რომ კაცმა ასე პირ-და-პირ დაიწყოს ლაპარაკი. მაინც ასეთი გამოაშკარავება კარგი არ არის: — ვინ იცის, ანგარიში რომ სწორედ არ მოუვიდეთ. ან იქნება აქაც კიდევ ბისმარკის ახალი რამ ოინობა და თვალთ-მაქცობა იყოს? ვინ იცის, ბისმარკის გზასა და კვალს განა შეიტყობს ვინმე?

რას ჰნიშნავს გაზეთის მუქარა, — რომ რუსეთს ახალ „სევასტოპოლს“ ვაჩვენებთო? აი გაზეთი რას ამბობს:

ნუ დაივიწყებენ, რომ არის ბალტიის ზღვის პირას რამდენიმე პროვინცია, რომელთაც „Ostseeprovinzen“-ს უწოდებენ და ამ პროვინციების დედა-ქალაქი პეტერბურგიაო.

ეს კი ძალიან ბუნდად არის ნათქვამი, იქნება იმის გამო, რომ ბალტიის ზღვა და მისი ნაპირები ხშირად ნისლითა, ჯანღითა და ბურუსით არის ხოლმე მოცული?!..

* * *

რუსეთში ერთი ქალაქია, რომელსაც სახელად ჰქვიან ვასილსურსკი. ვასილსურსკი, როგორცა სჩანს, ევროპულად მოწყობილი ქალაქი ყოფილა: თვით-მართველობა აქვს თურმე მინიჭებული, ქალაქის თავი განაგებს საზოგადო საქმეებსა და ასე წარმოიდგინეთ ცალკე საზოგადოებაც კი ყოფილა შემდგარი, რომელსაც ვალად უდვია ქალაქის სისუფთავეზე და ქალაქელების ჯანის სიმრთელეზე იზრუნოს. რით არ არის ევროპულად მოწყობილი ქალაქი? ყველაფრით, თვით ქალაქი სუფთა რომ იყოს, ცოტა ქალაქის თავიც რომ ევროპულის მიმართულებისა ყოფილიყოს და ესრედ-წოდებული „ხვალ მობძანდით“ არა ჰყვარებოდეს.

აი გაზეთი „Новое Время“ რას მოგვითხრობს ამ ქალაქის თავზე.

ქალაქს საშინლად მოსდებია ყვავილი და სახადი. ეუბნებიან ქალაქის თავსა:

ფულები მოგვეცით, რომ ქალაქი გავასუფთაოთ, თორემ სნეულება ვერ მოისპობაო.

— კარგი, ძალიან კარგიო, — უპასუხებს თურმე ქალაქის თავი. მეყურება, რომ ფულები ამ საქმისათვის საჭიროა და მოგცემთ კიდეც, ან კი რაკომ არ უნდა მოგცეო, მაგრამ დღესვე კი ვერა, მერე...

— როდის-ღა მერე?..

— ესე ორი-სამის თვის შემდეგ. ნუ გეშინიანთ. ფულები ფეხებს არ ბიდგმენ, არ გაიქცევიან, აქ დარჩებიან...

— ბატონო, ხომ მოგეხსენებათ! ხალხი ქალაქში ბუზივით წყდება, სნეულობა მთელს ქალაქს მოედო...

— ეჰ, თუ ღმერთი გრწამთ, ნუ იცით ეგრე: ტყუილ-უბრალოზე გასცხარდებით ხოლმე. გეუბნებით: ორი-სამის თვის შემდეგ მოგცემთ-მეთქი, ეხლა კი უკაცრაოდ, არა მცალიან, დუქანში მიგვიანდება. ნუ გეშინიანთ, მთელი ქალაქი არ ამოწყდება; ხალხი მოიცდის, თქვენა სცხარობთ ტყუილადა...

ეს ქალაქის თავი გვაგონებს იმ ჭკვიანს კაცსა, რომელიც თავის ყურ-გრძელა ფილოსოფოსს ეუბნებოდა: აცა — ნუ მოჰკვდები, გაზაფხულზე იონჯა მოვაო. საბრალო ვასილსურსკელები! ამისთანა პატრონის ხელში მოესწრობიან იონჯის ამოსვლას, თუ არა?!.

---

## წერილი რედაქციის მიმართ

### I

„ივერიის“ მე-84 №-ში წავიკითხე ანტ. ფურცელაძის ღრმა ჭკუის ნაწარმოები კიდევ და კიდევ, მისგან ჯვარცმულს და წამებულს (o tempora, o mores!) რუსთველზედ. გორელს გამოჩენილს კრიტიკოსს, ისტორიკოსს, პიიტიკოსს და პუბლიცისტს (თუ პუბლიცისტიონს? — ეშმაკმა იცის, ეხლანდელის ქართულისას კვლარას გაიგებს კაცი!) ისეთის ბნელის და საკამათო საგნისათვის მოუფენია ნათელი ჭეშმარიტებისა, რომ ჩვენ ყველანი გაღვიძებულნი ვართ პირ-ქვე დავემხოთ მის წინაშე და ერთ-ხმად ღაღადი ვყოთ: „ფურცელაძე გორსა შინა, კურთხეულ არს მომავალი სახელითა გორგიჯანიძის ისტორიისათა!“ და სხვა. მაგრამ, რადგანაც ანტ. ფურცელაძე ამავე შესანიშნავ გამოკვლევაში ჩემს პიროვნებასაც იხსენიებს — და არა კეთილად, — ნება მიბოძეთ თქვენისავე პატივცემულის გაზეთის საშუალებით ორიოდე სიტყვა მოგახსენო.

სრულის რწმუნებით და სინიდისით მოგახსენებთ, რომ ანტონ ფურცელაძის მსგავს მწერლებთან რამე სამეცნიერო და სალიტერატურო საგნებზედ ბაასის გაწევა წყლის ნაყვა და ზღვის კოვზით დახვრეტა სჯობია. მერწმუნეთ, ეხლაც პირადი თავ-მოყვარეობა არ მაიძულებს კალამს ხელი მოვკიდო. არ შეიძლება ამ გვარი ნაწერების უყურადღებოდ დატოვება ამიტომ, რომ ასობით და ათასობით მოიპოვებიან ჩვენში მკითხველნი, რომელთაც არც საკუთარი აზრი, არც საკუთარი მსჯელობა არ მოეპოვებათ საგანზედ, —

„И что имъ послѣдняя книжка скажетъ
То на душу и ляжетъ!“

როგორც ამბობს ერთი რუსის პოეტი. მერე ეს წერილი ფურცელაძისა ისეთის თავ-გამოდებულის ყოყოჩობით არის დაწერილი, რომ შეიძლება მის თაყვანის მცემელთ, ზ. ჭიჭინაძეებისაგან შემდგარმა გუნდმა, ერთ-ხმად დაიძახონ: „ნიბური, ბოკლო, გერვინუს, ლესინგო და სხვ. ჩამოდექით, ანტონ ფურცელაძე მობრძანდება!“ კარგია კიდევ, თუ ეს დიდებითი შემობრძანება გამარჯვებულის კრიტიკოსისა ჯორის უხედნელის „კიცვით“ და ბზის ტოტების დაქნევით არ მოხდა...

წამკითხველთა საგულისხმიეროდ თავიდამ მოგახსენებთ მოკლედ საგნის გარემოებას. წარსულს წელში ანტ. ფურცელაძემ ერთი პატარა წიგნაკი გამოსცა, სახელად: „შოთა რუსთაველი და მისი ცოლი“. ამ წიგნაკში, სხვათა შორის, სწერს ფურცელაძე, რომ რუსთველობა ისეთივე ხელობა ყოფილა, როგორც ერისთავობა იყო ჩვენში, და ამასთანა ბრძნულს მოსაზრებას ამყარებს პოეტისავე სიტყვებზედ: «მე რუსთველი ხელობითა»... მოგეხსენებათ, მახარეს მახრუჯა არ დაელევა — და რუსთველის ბრძენს კომენტატორს თავისივე მსგავსი კრიტიკოსი გამოუტყვრა „თეატრის“ ფურცლებზედ, რომელიც ფურცელაძეს სასაცილოდ იგდებდა და თავის მხრით ამტკიცებდა, რომ რუსთველობა ხელობას კი არა, მელექსეობას ნიშნავსო?! ერთის სიტყვით, პირველი ჰქმახავდა, მეორე მთლად ამღაშებდა. რასაკვირველია, ანტ. ფურცელაძე ამ შემთხვევაში არაფრით არ განსხვავდება იმ ჩვენებურ ფილოლოგებისგან, რომელნიც ამტკიცებენ, რომ სახელ-წოდება — არაგვი გვადაღკვავირიდამ სწარმოებსო; ძველის მიდიის ქალაქის სახელი — ეგბატანა ორი ქართულის სიტყვისგან შესდგებაო: „ეგ ბატონი“ და სხვა. მაშინ მე რუსულ გაზეთს „Новое обозрѣнiе“-ში დავბეჭდე წერილი, რომლითაც ამ ორსავე კაპიტონს ჯეროვანი მივუწყე. ჩემის მხრით ის აზრი გამოვსთქვი (რომელზედაც მტკიცედ და შეურყევლად ვსდგავარ ეხლაც, ამიტომ რომ მისი გამტყუნება ისრე არ შეიძლება, როგორც მათემატიკური ჭეშმარიტებისა: ორჯელ ორი ოთხია), რომ ამ შემთხვევაში ეტიმოლოგიური ახსნა რუსთველის სიტყვისა ყოვლად შეუძლებელია; რომ სიტყვა „ხელობითა“ არა სწარმოებს სახელი არსებითიდამ ხელობა, არამედ საფუძველი ამ სიტყვისა არის ძველი სიტყვა: «ხელი», რომელიც ნიშნავს მეტის სიყვარულით აღტაცებულს, გადარეულს, არა-ნორმალურს მდგომარეობაში ჩავარდნილს. ეს აზრი მტკიცდება, როგორც მთელი პოემის შინაარსის დაკვირვებით, ისე სხვა ადგილებთან შედარებით და, სხვა მრავალ მოსაზრებათა გარე, შემდეგი სიტყვებით: „ვსწერ ვინმე მესხი მელექსე მე რუსთაველის დაბისა“. თუ ვინმე სხვა რუსთველი ეხლანდელი ტიტულიანი სოვეტნიკებივით იქამდე წვრილმანი იყო, რომ თავის თანამდებობის და ტიტულის გამოჩენა უნდოდა, მაშინ ესრე დასწერდა: „ვსწერ ვინმე მესხი მთავარი მე რუსთავის დაბისა“! ძველ მწერლებს, როგორც ვიცით, ის ჩვეულება ჰქონდათ (ეს ჩვეულება ეხლაც არის ჩვენში), რომ ყოველთვის იმ სოფლის, ანუ ქალაქის სახელს ირქმევდნენ, საიდამაც თითონ იყვნენ. ერთი ნახევრის მეტს ქართულს გვარებში ამ ჩვეულებისათვის არავის უღალატნია. რუსთველობა იმის მეტს არაფერს ნიშნავს, რომ პოეტი იყო რუ-

სთავის დაბიდამ, როგორც თითონ ამბობს. აქ თავის სამტვრევი და საკამათო არაფერია; ვისაც საღი ტვინი აქვს და მთლად „ხელი“ არ არის, უნდა ეს უთუოდ დაიჯეროს.

მაგრამ გორგიჯანიძე რომ ამბობს და მას თეიმურაზ ბატონიშვილი ეთანხმება, რომ „ვეფხვის ტყაოსნის“ დამწერი მთავარი იყო დაბა რუსთავისაო, „სადა უჯვე სდისო ბუნებით წყარო მელნისა“. (უთუოდ რუსთველი იმიტომ გამოსულა შესანიშნავი პოეტი, რომ იმის სამშობლოში ბუნებით ამოდენილა წყარო მელნისა! არა, ანტონ ფურცელაძევ?) ამ ორი ისტორიკოსის აზრი ისეთი შეურყეველი საბუთია, რომლის წინაშეც ყველა მეტყველი ბაგე უნდა დადუმდეს და ამაყი ქედი მოიხაროს ისე, როგორც თვით ანტ. ფურცელაძე მოხრილა და დადუმებულა. მერწმუნეთ, ტყუილად აცუნცრუკებულა გორელი კრიტიკოსი. ანტ. ფურცელაძეს ეხლა წაუკითხავს თეიმურაზ ბატონიშვილის ისტორიის დამატება, მე კი დიდი ხანია წამიკითხავს, მაგრამ რუსთველის შესახებ აზრი არ დამიჯერია,ამიტომ რომ იმასთანა ავტორიტეტზედ არის დამყარებული, რომელსაც სჯერა, რომ რუსთავში მელნის წყარო სდისო. როგორც გორგიჯანიძე, ისე თეიმურაზ ბატონიშვილი პატივით მოსახსენებელნი არიან ჩვენგან, მაგრამ (თუნდა ნამქოლოთ ამისათვის) თქვენ მიერ მოძულებულ კეზელებთან მხოლოდ ის უპირატესობა აქვთ, რომ რამდენიმე საუკუნით უწინარეს წარსდგნენ სამსჯავროსა წინაშე ისტორიისასა. ყველა საუკუნეს ჰყავს როგორც გენიოსი და ნიჭიერი მწერალნი, ისე საშუალო, უბრალო კომპილიატორი და მთლად გამონიჯუნლნიც. ვინ იცის, იქნება ოც-და-მეორე საუკუნეშიაც გამოჩნდეს ერთი ზ. ჭიჭინაძე, რომელიც ხატსა და ჯვარზედ ფიცით გასქდება, რუსთველობა ხელობა ყოფილა, ამიტომ რომ მეცხრამეტე საუკუნეში ანტ. ფურცელაძე ამტკიცებსო, მაგრამ მაშინდელი კეზელიც ისე არ დაუჯერებს, როგორც ეხლანდელი არ გიჯერებთ თქვენ, გორგიჯანიძეს და თეიმურაზ ბატონიშვილს ერთად, ამიტომ რომ მეცხრამეტე საუკუნოელი ანტ. ფურცელაძე ერთი ჯიუტი მწერალი იყოვო და არა ავტორიტეტიო.

დავით სოსლანი

II

ბატონო რედაქტორო!

სამწუხაროდ ჩვენდა, ამ მიგდებულს სოფელში, შუქრუთში, მოკლებულნი ვართ ჟურნალ-გაზეთების კითხვასა. თუ უქონლობისა გამო და თუ სხვა-და-სხვა გარემოებისა, ხშირად ვართ მოკლებულნი „ძველსა და ახალს ამბებსა“. დრო გამოშვებით იშვიათად შევხვდებით რომელსამე №-ს გაზეთისას და სიხარბით ერთსა და იგივეს ათჯერაც გადავიკითხავთ ხოლმე.

დღეს, მაისის 6,-ს გაზეთ „ივერიის“ მე-71 №-ს, რომ ვკითხულობდი, ახალ ამბების განყოფილებაში ერთი დიდად შემაძრუწნებელი ამბავი შემხვდა. იქა სწერია, ვითომც სოფ. შუქრუთში ქვა-გუნდის თხრის დროს მიწა ჩამოწოლილიყოს გვირაბში და ორი მუშა-ძმები დაეტანოს და სული განეტევებინოს.

აგერ ოთხი წელიწადია, რაც მე სოფ. შუქრუთში ვცხოვრობ და ამისთანა უბედურება ჯერ ქვა-გუნდის მუშაობის დროს გვირაბებში არ მომხდარა აქ. აგრეთვე მარწმუნებენ, რომ მას აქედ რაც აქ მუშაობა არის, არავითარი ვნება მუშას არ მიჰხდომია სოფ. შუქრუთის გვირაბებში, რადგანაც გვირაბები თვით მაგარის სალის კლდისანი არიან.

სწორედ ჯილდოს ღირსია ამისი მოამბე კორრესპონდენტი. იმის გამოისობით ქვა-გუნდის მრეწველებს დიდი ზარალი მოელით. მთავრობა იძულებულსა ჰხდის მათ გვირაბების დასამაგრებლად ფიცრის თალები გაუკეთონ და ამას კი ცოტა ხარჯი არა სჭირდება.

ს. შუქრუთის გვირაბების დაწვრილებითს აღწერას უცნობთათვის თავს ვანებებ, მხოლოდ მკითხველებს ვარწმუნებ, რომ აქაურის გვირაბებისათვის თალები არ არის საჭირო, რადგან თალები თვით ბუნებითის კლდისანი არიან. რამდენად უფრო მაგარი უნდა იყოს ფიცრების თალებზე ბუნებით კლდის თალები, ამას მკითხველები თვით მიჰხვდებიან.

ზარასპი ჯაჭვაძე

სოფ. შუქრუთი (შორაპნის მაზრა)

# უცხოეთი

ბოლგარია. კიდევ ერთი კაცი გამოჩენილა ბოლგარიის სამთავრო ტახტის დაჭერის მსურველი. ამას წინად საფრანგეთის ჟურნალ-გაზეთობამ ხმა გაავრცელა, რომ ახალი კანდიდატი აღმოჩნდა კიდევ ბოლგარიის სამთავრო ტახტისათვის და ეს კანდიდატი პრინცი ნასსაუსისაო. გაზ. „Neue Freie Presse“ ამბობს, რომ პრინცი ვილჰელმი ნასსაუისა შვილია ჰერცოგის ადოლფ ნასსაუისა, რომელიც პრუსიამ დაიმორჩილა 1866 წ., ხოლო შემდეგში ჰერცოგმა თავისი ქალი გაჰყვა მიათხოვა გერმანიის მემკვიდრე პრინცს და ამ გვარად შეურიგდა გერმანიასა. პრინცი ვილჰელმ ნასსაუისა დაბადებულა 1852 წ. და ავსტრიის დრაგუნის ერთს რაზმში ჰმსახურობს პოლკოვნიკის ხარისხით. ამბობენ, რომ ამ პრინცის კანდიდატობას გერმანიის კანცლერი თავადი ბისმარკი მხარს უჭერს და ჰმფარველობსო.

ავღანისტანი. დიდის გაფაცცებით ადევნებს თვალ-ყურს ინგლისი ავღანისტანის საქმეებსაო, ამბობს გაზ. „Politische Correspondenz“-ი. დიდად ჰშიშობენ, რომ თუ მართლა ემირი აბდურახმან-ხანი ტახტიდგან გადმოაგდეს, ინგლისი მფარველობას გაუწევს და ამის გამო რუსეთისა და ინგლისის შორის უსიამოვნება ჩამოვარდებაო. ტყუილია ის გავრცელებული ამბავი, ვითომ რუსეთი და ინგლისი მორიგდნენ ერთმანერთში ავღანისტანის საქმის გამო და ეს საქმე ამიტომ მშვიდობიანად გადასწყდებაო.

ინგლისი. დელეგატებს ინგლისის კოლონიებისას კარგა ხნის ბაასისა და კამათობის შემდეგ საადმირალო გამგეობასთან, გადაუწყვეტნიათ ის საქმე, თუ ვინიცობაა ომი ასტყდა, როგორ უნდა მოიგეროს მტერი ავსტრალიამაო. ყოველ წლიურის სუბსიდიის 48,800 მანათის მაგიერ, რომელიც ავსტრალიას ეძლევა ინგლისის მთავრობისაგან, საადმირალო გამგეობამ უნდა ახალი გემები გააკეთებინოს და აგრეთვე ეხლანდელ გემებს მოუაროს კოლონიებისას. ინგლისის ჯარის უფროსნი დაინიშნებიან ამ გემებზედ უფროსებად; მშვიდობიანობის დროს სულ ოთხი სამხედრო გემი უნდა ჰქონდეს მთავრობას მზად შეიარაღებული და დანარჩენის სამხედრო გემების საქმე-კი ისე უნდა დააყენონ, რომ ყოველ წუთს მზად იყვნენ ეს გემები და ზარველის მოწოდებისთანავე შეიძლონ ზღვაზე გამოსვლაო.

ამერიკა. ზოგიერთი ამერიკის გაზეთები ამბობენ, რომ შეიძლება მართლა ჩაერიოს ამერიკა ირლანდიის საქმეში და ამ საქმის გამო უსიამოვნება მოუვიდეს ინგლისთანაო. თუ მართლა ასე გარდასწყვიტა ეს საქმე ამერიკის მთავრობამ, ინგლისთან უსიამოვნების მიზეზად თევზაობის სადავო საქმეს მოიდებს, რომელიც ჯერაც არ არის ამ ორთა სახელმწიფოთა შორის გარდაწყვეტილიო. პენსილვანიის გუბერნატორის გამოუცხადებია, რომ ვინიცობაა ბრძოლა ასტყდა ინგლისისა და ამერიკის შორის, შევიძლიან ერთის დღე-ღამის განმავლობაში ამერიკის მილიცია ჯარის ტახტთან შევკრიბოთ და გავამზადოთო. თუ მართლა ამ ორ სახელმწიფოთა შორის ბრძოლა და ომი ასტყდა, როგორც გაზეთები ამბობენ, შეიძლება კანადა ამერიკამ შეიერთოს, მით უმეტეს, რომ კანადის მცხოვრებელნი დიდი ხანია ამერიკისკენ იწევენ და ამერიკასთან შეერთების სურვილს აშლავნებენ.

# გასართობი

უბრალო წამალი შაკიკისა. ამას წინად აღმოუჩენიათ ახალი საშუალება შაკიკის მოსარჩენად, სახელდობრ მარილი. ეს საშუალება აღმოუჩენია ერთს ვენის ექიმს. ამ ექიმს ერთის ყმაწვილის-კაცისათვის, რომელსაც შაკიკი ჰქონია, ურჩევია, რომ მოგიაროს თუ არა შაკიკმა, მარილი ჭამე და გადაგივლისო. ამ წამალმა არგო თურმე ყმაწვილ-კაცს და აგრეთვე ბევრს სხვათაც. ბოლოს ექიმს ესევე წამალი ურჩევია ერთის ქალისათვის, რომელსაც რამდენიმე წელიწადია თურმე შაკიკი აქვს და ამ თავის ტკივილთან მეტის ტკივილიც მოუვლის ხოლმე. ქალმა სცადა თურმე ექიმის ნარჩევი წამალი; როცა შაკიკი ასტყდა, ერთი ჩაის კოვზი მარილი უჭამია და ზედ წყალი დაულევია. მარილმა უშველა თურმე ამ ქალსაც: შაკიკის ატეხის დროს სჭამდა თუ არა მარილს, გადუვლიდა თურმე შაკიკი.

**

როდის მოუგონიათ ქაღალდის გაკეთება. ვენაში ამ ჟამად მთელი კომისია დანიშნული, რომელსაც მინდობილი აქვს თურმე გამოიკვლიოს ძველის ხელთ-ნაწერებისა და ეტრატებისა. ეს ხელთ-ნაწერნი და ეტრატები ერცჰერცოგ რაინერის ჰქონია. ამ კომისიის ერთს წევრს ვისპერს უთქვამს, რომ ხელთ-ნაწერების ქაღალდი ტილოსაგან არის მომზადებული და ისევე გაკეთებული, როგორც ჩვენი ქაღალდი მზადდებაო. აღმოუჩენიათ აგრეთვე ხელთ-ნაწერნი 1230 წ. და ამ ხელთ-ნაწერთა ქაღალდებიც ეხლანდელის ქაღალდებივით არის მომზადებულიო. ვისპერს უთქვამს დასასრულ, რომ ქაღალდის გაკეთება მოგონილი უნდა იყოს არაბების მიერ და თითქმის მე-VIII საუკუნეში არის პირველად ქაღალდი გაკეთებულიო.

**

ვერ მოახერხა. ერთი ფრანგი ჩიკაგოში ცხენის რკინის გზაზე იჯდა და მიდიოდა; იმ ფრანგის პირ-და-პირაც ერთი ამერიკელი იჯდა თურმე და გზაზე იმითიირთობდა თავს, რომ კაგონის ფანჯარასთან გადაყუდებული იყო და პირუკუღმა ფურთხს ისროდა თურმე ფანჯარაში. ასეთმა თავის შექცევამ ამერიკელისამ გულზე მოიყვანა და გააბრაზა ფრანგი; ფრანგმა ფურთხა მოიგროვა თურმე პირში და უნდოდა ისე გაეფურთხებინა ფანჯარაში, რომ ფურთხი ამერიკელის შლაპისათვისაც მოეხვედრებინა, ხოლო ეს ვერ მოახერხა უხვეულობის გამო და ზედ ცხვირზე შეაფურთხა თურმე ამერიკელს. ფრანგმა დაიწყო თურმე ბოდიშის ხდა უზრდელობისათვის, მაგრამ ამერიკელმა პირი მოიწმინდა, გადიხარხარა და უთხრა თურმე ფრანგსა:

— მე არა მწყინს, ტყუილად იხდით ბოდიშს. გეტყობათ, რომ უცხო-ქვეყნელი ხართ და არ იცით საქმის ხერხიანად ხელის მოკიდება. აი მიყურეთ, რა მოხერხებულად გაფურთხებ, — და დაუწყო თურმე ამერიკელმა სწავლება ფრანგსა, როგორ უნდა მოეხერხებინა ვაგონის ფანჯარაში გადაფურთხება.

# დეპეშა

7 მაისი

ნოვოჩერკასკი. დონის ჯარს წაეკითხა მეფის გრამატა შემდეგის შინაარსისა: „წყალობითა ღვთისათა ჩვენ ალექსანდრე მესამე იმპერატორი და თვით-მპყრობელი სრულიად რუსეთისა, მეფე პოლშისა, მთავარი ფინლიანდიისა და სხვა-და-სხვა და სხვა ჩვენს ერთგულს, საყვარელს და ქველს ჯარს დონისას. დონის ჯარმა მაშინ დაიწყო სამსახური რუსეთისა, როცა ჩნდებოდა და იბადებოდა მისი ძლიერება მასუკან სამას წელიწადზე მეტია ეს ჯარი გულ-მხურვალედ ემსახურებოდა და ემსახურება დღესაც ტახტსა და სამშობლოს განუზომელის ერთგულებითა, მუდამ პირველი იდგა სახელმწიფოს სამზღვრებზე და მხნედ ებრძოდა ყოველ მხრივ გარშემორტყმულს ძლიერს მტერს ამ სახით იცავდა თავის მკერდით სამზღვრებს, და ჰშველოდა სახელმწიფოს რომ თვისი მიჯნები გაეფართოვებინა; იმ ხანებში კი როცა მძიმე განსაცდელი მოევლინებოდა ხოლმე ჩვენს სამშობლოს ღვთის განგებითა დონის ჯარი თავ-განწირულის ერთგულებით ჰგზავნიდა თავის ძეთა სალაშქროდ ყველგან საცა კი სახელმწიფოს საჭიროება და სარგებლობა მოითხოვდა. და ყველგან მამაცმა და ქველმა ჯარმა დონისამ გამოიჩინა დიდი გმირობა, გაითქვა დიდი სახელი, დაიმსახურა მადლობა თავის სამშობლოსი. დღეს ჩვენ შემოვედით ასრედ სახელ-განთქმულის ყაზახთა ჯარის მიწა-წყალში და ჩვენთან ერთად იმყოფება ჩვენი უავგუსტოესი მეუღლე ხელმწიფე იმპერატრიცითა და საყვარელი ჩვენი შვილი, მემკვიდრე ცესარევიჩი, ყაზახთა-ჯარების ატამანი, რომელიც პირველად ჰხედავს დონის ჯარს და ამ ჯარს შუა იღებს ჩვენგან ნიშნებს თავის მაღალის ატამანობის ღირსებისას. ჩვენ გვსურს ჩვენ მიერ ნახვა სახელოვანის დონის ჯარისა სამახსოვროდ გავხადოთ და ამიტომ ნიშნად ჩვენის წყალობისა და ჯილდოდ მის ნამსახურობისა ღვაწლისა, კვლავ ვამტკიცებთ თქვენზე ყველა უფლებასა და უპირატესობასა, რომელიც უბოძებია და უწყალობებია დონის ჯარისათვის ღვთივ-განსვენებულთ ჩვენთა დიდთა წინაპართა, ვამტკიცებთ მეფობის ჩვენის სიტყვით, რომ არ შეიცვალოს არც ის წესი, რა წესითაც ჯარი ემსახურება სამშობლოს და რითაც საისტორიო დიდება და სახელი შეიძინა, არც რამე მოაკლდეს ყოველ-გვარს მამულს, რომელიც შეუძენია ჯარს თავის შრომითა, ღვაწლითა და სისხლის დაქცევითა და რომელიც დაუმტკიცებიათ მონარხებს თავიანთის წყალობის წერილებითა და გრამატებითა. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, ჩვენი ერთგულნი და საყვარელნი ძენი დონისანი ეცდებიან და იგულს-მოდგინებენ კვლავაც დარჩეთ ყოველის ერთგულის ქვეშევრდომისათვის საპატიო წოდება ტახტისა და სამშობლოს ერთგულ მოსამსახურეთა და დამცველთა. ასეთი იმედი გვაქვს ჩვენ დონის ჯარისა და მუდამ კეთილი გული გვექნება მასზედ ამიტომ კეთილ-ვინებეთ, რომ ეს გრამატა საკუთარის ჩვენის ხელით ყოფილიყო ხელ-მოწერილი და, ჩვენის ბრძანებისამებრ, სახელმწო ბეჭდით დაბეჭდილი.

საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14,

ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4,

ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

ამაღლება 14 მაისს, სულის წმინდის მოსვლა 24—25, პეტრე-პავლეს მარხვა 1 ივნისს. ეს მარხვა 1887 წელს 4 კვირით არის.

მაისი 31 დღით არის.

9 დღე შაბათი. წმ. ნაწილთა ნიკოლოზ საკვ. მოქმედ.; წინ.-მეტყვ. ისაიასი; მიცვალება ღირსისა შიო მღვიმელისა. კათოლ. ნიკოლოზისა, გრიგორისა და ირენისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—34, ჩადის 7—18.

10 დღე კვირა, წმ, მოციქ. სვიმეონ მოშურნისა. კათოლიკთა—იზიდორასი და ანტონინასი. ჭეშმარიტი შუა დღე 11—56 ტფილისში მზე ამოდის 4—34, ჩადის 7—19

11 დღე ორშაბათი. მღვდელ.-მოწ. მუკისა სწ. მ. უმ. კირილე ვლადიმირის ძისა. კათოლ. წმ. მონიკისა, მამეტრისა, ფავიასი და იზაბელლასი. ჭეშმარიტი შუა-დღე 11—56. ტფილისში მზე ამოდის 4—33, ჩადის 7—20. მთვარე 2 დღისაა.


# კერძო განცხადებანი

14 მაისს ამა წლისა, დილის 10 საათზედ, არის დანიშნული სააზნაურო ბანკის დარბაზში წლიური საერთო კრება წევრთა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოებისა, თანხმად § 11 საზოგადოების წესდებისა. ამ კრებას ექმნება განსახილველად შემდეგი საგნები:

ა) მოსმენა და დამტკიცება ანგარიშისა 1886 წლის 15 მაისიდამ 31 დეკემბრამდე.

ბ) სავარაუდო ხარჯის გასინჯვა და დამტკიცება 1887 წლისათვის.

გ) ამორჩევა საზოგადოების ახალ წევრთა.

დ) გამორიცხვა იმ წევრთა, ვისაც საწევრო ფული არ შემოუტანია.

ე) განხილვა ბათუმის სკოლის საქმისა (5—4)


Дов. ценз. Тиф. 11 мая, 1887г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე